



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის

№ 2

ქ. ბათუმი

2019 წლის 28 თებერვალი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;

დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი.
<b>არ ესწრებოდნენ:</b>	
დომიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი -
- ე. ნატარიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მ. ქიძინიძე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

## **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ევარსლან ლომაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

4. „ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვი ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

5. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

6. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 18 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ გასული წლის საკრებულოს დია კარის სხდომაზე თამარის დასახლებიდან მოქალაქის მოთხოვნა შეახსენა, რომელიც ითხოვდა რკინიგზის გადასასვლელზე ჩაშლილ მდგომარეობაში ფიცარნაგის შეცვლას, რადგან დღის განმავლობაში სხვადასხვა მოცულობის ავტომობილების მოძრაობის გამო იქმნება საცობები. ასევე ანგისის დასახლებაში ცენტრალური გზის ბოლოს, სადაც მდინარეა, საშინელ მდგომარეობაშია. აღნიშნული საკითხების მოწესრიგება აუცილებელია მოსახლეობისთვის.

საკრებულოს წევრი რ. თავართქილაძე აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებას დადებითად თვლის, კერძოდ, „ოცნების ქალაქის“ მოსახლეობისთვის საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებას. ასევე ისაუბრა ბათუმში მერიის სამსახურის მიერ გარე ვაჭრობისგან ტროტუარის განთავისუფლებისა და პარკინგის მოწესრიგების შესახებ, რომლებიც აუცილებელი და მნიშვნელოვანია ქალაქისათვის.

საკრებულოს წევრმა ბ. გოგოტიშვილმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერიის საქმისწარმოების განყოფილებაში არ არის მოქალაქეებისთვის შესაბამისი პირობები, რადგან რიგის აპარატია დაზიანებული, შესაბამისად მოქალაქეებს აქვთ პრობლემები, ასევე არ არის წყლის აპარატი.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ სამტრედიის საბავშვო ბაღებში ერთ-ერთ კომპანიას შეჰქონდა ცხენის ხორცი და დღეს ეს ადამიანი დააკავეს. დასტურდება, რომ ბათუმის საბავშვო ბაღებშიც ამ კომპანიას შეაქვს ხორცი. თუმცა არ იცის აქ ნამდვილად საქონლის ხორცი შედის თუ ცხენის ხორცი. მან მოითხოვა საკითხის შესწავლა.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ მოითხოვა შემდგომი სხდომისათვის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობის მოწვევა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბათუმის საბავშვო ბაღებში ცხენის ხორცის შეტანა არ დაფიქსირებულა. შესაბამის სამსახურებს კონტროლზე აქვთ აყვანილი და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ასეთი დასახელების ხორცი დაწესებულებებში არ მოხდეს. კონკრეტულად თუ რა ღონისძიებებია გატარებული ბათუმის მერიიდან გამოითხოვს წერილობით ინფორმაციას გასაცნობად.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერია და მერიას დაქვემდებარებული ორგანიზაციები ჩაკეტილი სისტემაა. მიწერეს წერილები, მაგრამ პასუხი არ აქვთ. გასულ წელს 18 მილიონი ჰქონდა ბიუჯეტით ბათუმის წყალს. დამფუძნებელ ორგანიზაციას აინტერესებს, თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, ვინ არიან დასაქმებული და კონტროლის ფუნქციის განხორციელების შესახებ. ფრაქცია ითხოვდა ბიზნეს გეგმას და ხარჯთაღრიცხვას, მაგრამ პასუხი გასცეს, რომ არ შეიცავს საჯარო ინფორმაციას. ის არ ითხოვს საჯარო ინფორმაციას, ორგანიზაციების-ბათუმის წყალის, სანდასუფთავების და ავტოტრანსპორტის ამონაწერში წერია, რომ ამ ორგანიზაციების დამფუძნებელია ქ. ბათუმის მერია. ესენი მოქმედებენ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დამფუძნებლის შესახებ კომპანია და დირექტორი არის ანგარიშვალდებული. მათ ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოწოდება გააჩნიათ, ამიტომ სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარეს წერილობითი ინფორმაციის გამოთხოვების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბათუმის წყლის დირექტორმა გააკეთა კარგი პრეზენტაცია საკრებულოს წევრებისათვის, მაგრამ სამწუხაროდ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არ ესწრებოდით. პრეტენზიების გამოთქმისას წინაპირობა უნდა იყოს იმისა, რომ მხარი დაგიჭიროს უმრავლესობამ. გარდა ამისა არ ესწრებით საკრებულოს კომისიის და ბიუროს სხდომებს, რაზედაც მ. ქამადაძემ მიმართა, რომ თუ ხართ გულწრფელი და თანამშრომლობას აპირებთ, გინდათ ღიაობა და ჩართულობა, თუ იმ უწყებებში არ არის კორუფცია და ნეპოტიზმი, რატომ არ აწვდიან დამფუძნებელ ორგანიზაციას ინფორმაციას.

საკრებულოს წევრი ნ.ზოიძე ფიქრობს, რომ ნამდვილად იყო გულსატკენი ინფორმაცია საქართველოში საბავშვო ბაღებში ცხენის ხორცის შეტანასთან დაკავშირებით, ეს არის აღმაშფოთებელი ფაქტი, მაგრამ ვიცი რომ ოთხდონიან შემოწმებას გადის ნებისმიერი პროდუქტი, აღსაზრდელები არიან დაცულები და ყოველგვარი მსგავსი

მცდელობა გამორიცხულია. ის მომხრეა მომავალი სხდომისთვის ბათუმის მერიის მხრიდან წერილობითი ინფორმაციის შემოტანისა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება, ასევე გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 3,446,4 ათასი ლარით. მათ შორის: - სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან - 3,446,4 ათასი ლარით, რომელიც წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილ თანხას; წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 3,667.1 ათასი ლარით. ბიუჯეტის გადასახდელებში ასახული იქნა ზემდგომი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ფარგლებში განსახორციელებელი კაპიტალური პროექტები, ასევე საბიუჯეტო ნაშთის გამოყენების ხარჯზე გათვალისწინებული იქნა 2019 წლიდან გარდამავალი და ახალი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსება.

პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია განმარტებით ბარათს თან ერთვის დანართის სახით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ თ ე ქ ე ე ს :**

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა ჩაქვში ზოოპარკთან დაკავშირებით, მას აინტერესებს თუ რამდენად შეიძლება თვითნებურად დაკავებული სტატუსის მყოფ პირთან კომპენსაციის გაცემა.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქისთვის საჭიროა მძლე-

ოსნობის მანქი, რომელიც ყველა სპორტის საწყისია. მძლეოსნობაში შედის 40 სხვადასხვა სახეობა და ფიქრობს, რომ აუცილებელია. ამასთან დაკავშირებით მერია რას გეგმავს? ასევე ძალიან კარგი რამ კეთდება გამწვანების კუთხით, ბევრი ხე-მცენარეები დაირგო. შემდგომში თუ იგეგმება თანხების დამატება მცენარეების შესამენად? რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მძლეოსნობა მთელ რიგ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოითხოვს, ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს, რაც შეეხება გამწვანებას, ეს არ იქნება ერთჯერადი, ნებისმიერი ეკონომიები ბიუჯეტის მოზიდვის შემთხვევაში მნიშვნელოვნად დგას გამწვანების კუთხით, პრიორიტეტად არის დასახული, რომ ასეთი აქციები გაგრძელდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ გრძელდება ის პოლიტიკა, რასაც შეეხება ბიუროკრატიული ხარჯების ზრდა, მათ შორის ხელფასები, მანქანა, ორგანიზაციებში ემატება საშტატო ერთეულები, ასევე ისტორიული პროექტების კვლევის ფული დაიხარჯა და რაც იყო პრაქტიკულად განსახორციელებელი 100 ათასი ლარი ნულით დამთავრდა. დღეს კი გადმოიტანეთ ეს თანხა, მაგრამ შესრულება არ იქნება. ასეთ წარმოდგენილ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ განცხადებებს არ ეთანხმება, რადგან სახელფასო ფონდი არ იზრდება.

**ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ლ. ანთაძემ, მ. ქამადაძემ და რ. ზოიძემ სხდომათა დარბაზი დატოვეს.**

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ოპოზიცია მიზანმიმართულად აკეთებს ხმაურიან განცხადებებს, შემდეგ კი დემონსტრაციულად ტოვებს სხდომას. ასევე ოპოზიციური ფრაქციის წევრებთან ერთად სხდომას მცირე დროით ტოვებს ჟურნალისტებიც და უმრავლესობას განმარტებების გაკეთების საშუალება არ ეძლევათ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მოიჯარეს - შპს „ფერტუნა მედია“-ს, 100%-იანი წილის მესაკუთრე შპს „ალმა“-ს და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2014 წლის 16 ივნისს, 2016 წლის 10 თებერვალს და 2017 წლის 05 ივლისს დადებული შეთანხმებებით განისაზღვრა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მგზავრთა მოსაცდელების განთავსების 100 ადგილი, პირველ ეტაპზე 50 და მეორე ეტაპზე 50 ადგილი. შპს „ალმა“-ს მიერ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოსაცდელების განთავსების დროს გამოიკვეთა გარკვეული სახის შეფერხებები, კერძოდ ზოგიერთ მისამართზე შეუძლებელი გახდა მოსაცდელის განთავსება ქუჩის ტროტუარის სივრცის, კომერციული ობიექტების მეპატრონეების და მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეების მხრიდან წინააღმდეგობების და სხვა მსგავსი მიზეზების გამო. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში (სულ 14) მოსაცდელის განთავსება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა შპს „ალმა“-ს ერთობლივი შერჩევით განხორციელდა შეთანხმებებით განსაზღვრული მისამართების ნაცვლად სხვა მისამართებზე, კერძოდ: პირველი ეტაპზე განთავსების 50 ადგილის (მისამართის) ჩამონათვალის მიხედვით ნაცვლად: ქ. ბათუმი, ბარათაშვილის ქ. №51; ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №54-ს მიმდებარედ და ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩაზე (დელფინარიუმის მოპირდაპირედ განთავსდა ჭავჭავაძის ქ. №2-ს მიმდებარედ; ჭავჭავაძის ქ. №54-ს მიმდებარედ და ლერმონტოვის ქ. №90-ში. მეორე ეტაპის განთავსების 50 ადგილის (მისამართის) ჩამონათვალის მიხედვით ნაცვლად: თამარ მეფის გზატკეცილი (ახალი რკინიგზის სადგურის მოპირდაპირედ; ბაქოს ქუჩა(თევზის ბაზართან); ბაქოს ქუჩა (საკონტეინერო ტერმინალთან); ბაქოს ქუჩა(საკონტეინერო ტერმინალის მოპირდაპირედ); შავშეთის ქ. №18; აღმაშენებლის ქ. №13; აღმაშენებლის ქ. №21 (სავაჭრო ცენტრთან); კაჩინსკის ქუჩა(ახალი ბულვარის მოპირდაპირედ); აეროპორტის გზატკეცილის №230-ის მოპირდაპირედ; გონიოს ციხის მიმდებარედ და გონიოს ციხის მოპირდაპირედ განთავსდა წერეთელის ქუჩაზე (პლაზას მიმდებარედ); გონიოს ციხის გვერდით (სასაფლაოსთან); გონიოს ციხის გვერდით (სასაფლაოს მოპირდაპირედ); ჭავჭავაძის და სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში; ქათამაძის და ლორთქიფანიძის ქუჩების კვეთაში; მელიქიშვილის ქ. №22-ში; მელიქიშვილის ქ.



№61-ში; კობალაძის ქ. №2; ლერმონტოვის ქ. №69-ს მიმდებარედ; ჯავახიშვილის ქ. №33-ში და ტბელ აბუსერიძის ქ. №33-ში. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა, რომ ცვლილებები შევიდეს თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს, საკრებულოს თავმჯდომარესა და შპს „ფერტუნა მედია“-ს (შემდგომში შპს „ალმა“) შორის 2014 წლის 16 ივნისს დადებულ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ალმა“-ს შორის 2016 წლის 10 თებერვალს და 2017 წლის 05 ივლისს დადებულ შეთანხმებებში, რაც შეიძლება განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის საკრებულოს შესაბამისი თანხმობის მიცემით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ გამოთქვა უკმაყოფილება მოსაცდელების სხვადასხვა სტანდარტით დადგმის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ავტობუსის მოსაცდელის სიგანე ყველას აქვს ერთი, სიგრძე კი განსხვავებული. გრძელი მოსაცდელების დადგმა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კონკრეტულად იმ ადგილზე მოსაცდელი მოიცავდა სავაჭრო ჯიხურსაც. მიწის ნაკვეთიც შესაბამისად გაზრდილი იყო. დღეს კომპანიამ უარი განაცხადა ჯიხურებიან ანუ სავაჭრო ობიექტიან მოსაცდელზე და მის ხარჯზე გააფართოვა მოსაცდელის ფართი. გამომდინარე აქედან მოხდა განსხვავებული მოსაცდელების დადგმა.

საკრებულოს წევრმა თ. დევამემ აღნიშნა, რომ ლ. ასათიანის ქუჩის ბოლოს, ვ. ფშაველას კვეთასთან ექვსი ნომერი ავტობუსი აკეთებს ბოლო გაჩერებას. იქ არ არის დახაზული და არც მოსაცდელი დგას, რის გამოც მოსაცდელის დადგმამდე დახზვა აუცილებელია, რადგან ავტობუსის გასაჩერებელ ადგილას სხვა მანქანები ჩერდება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა -2 (ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიცი-  
პალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის  
უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 30 იანვარს წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის №175/02 (N2787/25) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობს მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროცესი, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეწყობის მიზნით, ერთი ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემა. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (#36; 15.01.2019წ.) განხორციელდა შპს ბათუმის „ავტოტრანსპორტი“-ს კაპიტალში რიცხული „ISUZU BOGDAN A092“ მარკის ერთი ავტობუსის კაპიტალიდან ამოღება.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ერთი ავტობუსის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -2 (ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში ახალი

**ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმში ახალი ზოოპარკის მშენებლობის ტერიტორიის განსაზღვრისა და ზოოპარკის მშენებლობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის #37 განკარგულებით განისაზღვრა ქალაქ ბათუმში ახალი ზოოპარკის მშენებლობის ტერიტორია, რომელიც მოიცავდა დაბა ჩაქვში მდებარე #05.33.21.192, #05.33.21.193, #05.33.21.284, #05.33.21.198, #05.33.21.189, #05.33.21.194, #05.33.21.107, #05.33.21.106 და #05.33.21.100 საკადასტრო კოდებით სახელმწიფო საკუთრებაში და #05.33.21.285 საკადასტრო კოდით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განკარგულებით დაევალა აღნიშნული მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელება. საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი მიმართვების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 20 აპრილის #68 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩის #78-ს მიმდებარედ არსებული 3929,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.285). ხოლო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 22 ივნისის #1/1-1451 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული: 1. დაბა ჩაქვში მდებარე 29523,00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.192); 2. დაბა ჩაქვში მდებარე 28613,00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.193); 3. დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩის #78-ს მიმდებარედ არსებული 6107,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.284); 4. დაბა ჩაქვში მდებარე 28737,00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.198); 5. დასახლება ჩაქვში მდებარე 29568,00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.189); 6. დაბა ჩაქვში მდებარე 34835,00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.194); 7. დასახლება ჩაქვში მდებარე 4434,00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.107); 8. დასახლება ჩაქვში მდებარე 5091,00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.106).

საკრებულოს განკარგულებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე დაევალა აღნიშნული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირების ვინაობების დადგენა და მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლების მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება (წარმოდგენა). ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ კუთხით განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები. ჩატარდა თვითნებურად დამკავებული მიწის ნაკვეთების აღწერა, დადგინდა დამკავებელი პირების ვინაობები (თვითნებურად დამკავებული მიწის ნაკვეთების

სიტუაციური გეგმა და თვითნებურად დამკავებელი 14 პირი-ს სია თან ერთვის), რომლებსაც ამ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული აქვთ სხვადასხვა სახის ნარგავები, ასევე გამოიყენებენ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლების თაობაზე თვითნებურად დამკავებელ პირებთან შეთანხმების მიზნით ჩატარდა არაერთი შეხვედრა. საბოლოოდ მათთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ თვითნებურად დაკავებული მიწის ერთ კვადრატულ მეტრში 7 (შვიდი) ლარის გადახდის სანაცვლოდ ისინი გამოათავისუფლებენ ამ მიწის ნაკვეთებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (ს/კ. #05.23.06.007) მდებარე ზოოკუთხის მიერ დაკავებული ტერიტორიის (რომელსაც უჭირავს 19238,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 1959,55 კვ.მ. ფართის 18 შენობა-ნაგებობით -ადმინისტრაციული, ცხოველთა სადგომები, ვოლიერები და ა.შ.). გამოთავისუფლების, ზოოკუთხის შემდგომი განვითარებასა და გაფართოების (რისი პერსპექტივაც თავისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით მას არ გააჩნია - ერთი მხრიდან ესაზღვრება საცხოვრებელი კორპუსები და კერძო სახლები, მეორე მხრიდან ცენტრალურ პარკში არსებული ტბა) ბათუმის ზოოკუთხის სხვა ტერიტორიაზე გადატანის და დაბა ჩაქვში ახალი ზოოპარკის მშენებლობის საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის შერჩეული მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდეს თვითნებურად დამკავებელ პირებისათვის შეთანხმებით განსაზღვრული, თვითნებურად დაკავებული მიწის ერთ კვადრატულ მეტრში 7 (შვიდი) ლარის, ასევე მიწის ნაკვეთების აზომვის ღირებულებების გადახდა (წარმოდგენილი სიის მიხედვით: 14 მიწის ნაკვეთი; საერთო ფართი - 80 849,00 კვ.მ.; კომპენსაციის თანხა - 565943,00 ლარი; აზომვის ღირებულება სულ - 2422,00 ლარი; ჯამში - 568365,00 ლარი).

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

მომხსენებელმა უპასუხა სხდომის დაწყებამდე გამოთქმულ ა. მამულაძის კითხვას, თავიდანვე დაისვა კითხვა იმ კუთხით, რომ აღნიშნული ზოოპარკის მშენებლობა ხომ არ მოხდებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯზე, რაზედაც გიპასუხეთ რომ არა. ამ თანხის გამოყოფა მთლიანად ხდება საქველმოქმედო ფონდის ქართუს მიერ, რაც შეეხება მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ საკითხებს უზრუნველყოფდა ბათუმის მუნიციპალიტეტი. აღნიშნული ქონების უმეტესი ნაწილი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას და ნაწილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას, საკრებულოს განკარგულების მიღების შემდეგ მერიამ მოითხოვა აღნიშნული მიწის ნაკვეთების გადმოცემა. ტერიტორია დაკავებულია იქვე სოფელში მცხოვრები მოსახლეობის მიერ, არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობები,

იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, მოჰყავთ გარკვეული კულტურები, მათთან არაერთი მოლაპარაკების შედეგად, რომელსაც ქალაქის მერი ხელმძღვანელობდა და პირადად ხვდებოდა, შეთანხმება მოხდა 1 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთში ისინი აიღებდნენ 7 ლარს კომპენსაციას, რომლის შემდეგ კონკრეტული პირები ჩააბარებდნენ მიწის ნაკვეთებს.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 2 (ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

5. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დადგინდეს ქალაქ ბათუმში სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი თანახმად დანართი 1-სა.

2. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების ტექსტური ნაწილი თანახმად დანართი 2-სა.

3. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების გრაფიკული ნაწილი (ზონირების რუკა) თანახმად დანართი 3-სა.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების ტექსტურ ნაწილსა და გრაფიკულ ნაწილს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირების გრაფიკულ ნაწილს.

ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დიფერენცირებულია ქ. ბათუმის ზონირების საფუძველზე შესაბამისი ზონების (ქვეზონების) მიხედვით, დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:  $C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$ .

### ა ზ რ ი

#### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი 20-30%-ით გაიზარდა.

საკრებულოს წევრმა გ. მგელაძემ გააცნო საკრებულოს საფინანსო კომისიის მოთხოვნა, რომ ბათუმის მერიის მიერ მოხდეს აღნიშნული მომსახურების შესყიდვა და კვლევების შედეგად მიღებული ფასები ხელახლა იქნას შემოტანილი საკრებულოს სხდომისთვის დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15  
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

#### მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

6. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიცი-  
პალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური პროგრამის „კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში დამტკიცდა ქვეპროგრამა „იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს“, რომლის მიზანი იყო ქალაქ ბათუმის შესაბამისი კატეგორიის მოქალაქეთა ხელმისაწვდომი და სათანადო ხარისხის, ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრისით უზრუნველყოფა, ქალაქის ტერიტორიაზე ახალი საცხოვრისის მშენებლობისა და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი გრძელვადიანი გამოსყიდვის უფლების მექანიზმების შექმნის გზით. პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი სახლ(ებ)ის მშენებლობისათვის გამოიყო ტერიტორია ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №78 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 06 ივლისის N486 ბრძანებით, მითითებული ქვეპროგრამის „იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს“ ფარგლებში საცხოვრისის შესაბამისი პირების (ბენეფიციარი ოჯახები) გადაცემისათვის აუცილებელი პირობებისა და კრიტერიუმების დადგენის მიზნით, შეიქმნა პირობებისა და კრიტერიუმების დადგენის კომისია, ასევე, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში შერჩეული კონსულტანტის - „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“-ს მიერ მომზადდა „ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის მეთოდოლოგია, რისი პილოტირებაც განხორციელდა 20 პოტენციურ ბენეფიციარ ოჯახზე. შედეგად, აღნიშნული კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი შეფასდა მოქმედად და შევიდა შესაბამისი კორექტირება. კონსულტანტების მიერ საბოლოო სახით შემუშავებული „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი“ კომისიას წარედგინა 2016 წლის 07 ივლისს, მოწონებულ იქნა კომისიის 2016 წლის 05 აგვისტოს N4 საოქმო გადაწყვეტილებით და გაიცა რეკომენდაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე.

მითითებული ღონისძიების განხორციელების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი“ ქვეპროგრამით - „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“ გათვალისწინებულია და მიმდინარეობს ორი ერთეული 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №78ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, დამტკიცდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი“ ქვეპროგრამის „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“ საცხოვრისის შესაბამისი პირების გადაცემისათვის აუცილებელი პირობებისა და კრიტერიუმების დადგენის კომისიის“ 2016 წლის 05 აგვისტოს N4 საოქმო გადაწყვეტილებით მოწონებული „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი“. რის შემდგომაც ქალაქ ბათუმის მუნი-

ციპალიტეტის მერია, ხელმისაწვდომი საცხოვრისით მოსარგებლეთა შერჩევის პროცესის დაწყების მიზნით, უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა განცხადებების მიღების, განხილვის, ბენეფიციართა შერჩევის და ბენეფიციარებისთვის საცხოვრებელი ბინების გადაცემის მარეგულირებელი შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქტების) პროექტის (პროექტების) მომზადებასა და უახლოეს პერიოდში საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ კონსულტანტების მიერ პროგრამით სარგებლობის კრიტერიუმების შემუშავების დროს პროგრამის ბენეფიციართა მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხები დაანგარიშებულია 2016 წლის მდგომარეობით, ამ დროისათვის მიმდინარეობს თანხების დღეის მდგომარეობით დაანგარიშება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე



ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

